

საგაზელო

ეროვნული
საბჭო

საერთოული გაზეთი შაბათი 11 მარტი 2006 №54 (2676)

ფასი 50 თეთრი

გაელთან გაელი უნდა იყო!

ნუ შეარჩენთ პორტუგალიას:
სამი წელია, ქულა არ შეგპარჩინა



გაელი კათოლიკოს ფოტო



გაელი კათოლიკოს ფოტო

დინამო სვდება, რომ ზესტაფონისგან ნამებანი სვდება


მიჰყვა და მიჰყვა, გახურდა საქართველოს ჩემპიონატის მეორე ნრე-
დღეს ტურის რვავე მატჩია და მთავარი დღევა-შფოთი „მიხიელ
მესხზე“ იქნება, სადაც „დინამო“ „ზესტაფონს“ მასპინძლობს.
როდისღა უნდა გატეხონ ნავსი დინამოელებმა? ბოლო ორი სეზონია,
ფეროელებს გოლს ვერ უტანენ, რამდენიმე დღის წინ კი ზესტაფონში
სათასო მატჩიც წააგეს. მოკლედ, ვაკეში კარგი ჯახი იქნება.
ტურის ნომერ მეორე მატჩი, ალბათ, „სიონი“ — „ბათუმია“. ცხრილს
რომ შეხედავ, ბოლნისელებს თითქოს არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ
ზღვისპირელებს სამეორენერეოდ კარგი გუნდი შემოესწროთ.
დანარჩენ ექვს თამაშსაც ნუ დავივინყებთ — ცხრილის ზედა ნაწილი
ისე შემჭიდროვდა, ყველა ქულა ჰაერივით საჭიროა.

ჩაფუვილება პარიზში

წილი ნაყარია. ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისტები
დანყვილდნენ. გუშინ პარიზში ყველას ერგო მეტოქე „ვილიარეალის“
გარდა, რომელსაც სამშაბათამდე ლოდინი მოუწევს — ამ დღეს
„ინტერი“ „აიაქსს“ უმასპინძლებს და ვილიარეალეთა
მონინაალმდეგეც ამ წყვილში გაირკვევა.
პატრიკ ვიერა, ვინც ცხრა წელი „არსენალში“ გაატარა, „ჰაიბერიზე“
დაბრუნდება „იუვენტუსის“ მაისურით. ისიც გავისხენოთ, რომ,
თავის მხრივ, მეთოფე ტიერი ანრის „იუვეში“ უთამაშია.
რონალდ კუმანი და ფრანკ რაიკარდი, ანუ „ბენფიკა“ —
„ბარსელონაც“ ძალიან საინტერესო წყვილია, ხოლო „მილანს“
„ლიონი“ ერგო — ჟერარ ულიეს კოსტა გუნდი კარლო ანჩელოტისა
და შევჩენკო-ინძაგის წინააღმდეგ.

| QUARTER-FINALS | | | | |
|----------------------------|-----|----------------------------|---------------|-----|
| ARSENAL FC | ENG | VS | JUVENTUS | ITA |
| O. LYONNAIS | FRA | VS | AC MILAN | ITA |
| INTER vs AJAX | | VS | VILLARREAL CF | ESP |
| SL BENFICA | POR | VS | FC BARCELONA | ESP |
| SEMI-FINALS | | | | |
| WINNERS OF QUARTER-FINAL 1 | | WINNERS OF QUARTER-FINAL 2 | | |
| ARSENAL FC | ENG | VS | INTER vs AJAX | |
| JUVENTUS | ITA | | VILLARREAL CF | |
| WINNERS OF QUARTER-FINAL 2 | | WINNERS OF QUARTER-FINAL 1 | | |
| O. LYONNAIS | FRA | VS | SL BENFICA | |
| AC MILAN | ITA | | FC BARCELONA | |

ტოპის სა და დედაინა ახალი საქართველოს ნაპრები ალბანეთში



კლავს ტომილერის
სგნაწერი სია

22 მარტი ფიფას მიერ ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილი დღე არაა, ამიტომაც ქართველ ლეგიონერებს ალბანეთში ჩასვლაზე თავიანთი კლუბებისგან პრობლემები შეექმნებათ. პრობლემები კი არა, გადაწყვეტილია, რომ ალბანეთის ნაკრებთან ვერ ითამაშებს შოთა არველაძე, რომლის „აქცემარი“ 22-ში პოლანდის თასზე მსუსხვდება. შოთას ნაცვლად კლავს

ტომილერმა მიხეილ აშვეთია გამოიძახა, ტრავმირებული მალხაზ ასათიანის მაგივრად კი — ვიორგი ქინქლაძე.

სავარაუდოდ, პერ კლავსის გუშინ დასახელებულ სალბანეთო სიას სხვა ლეგიონერებიც გამოაკლდებიან. სია კი ასეთია:

მმსპრმმსპრმმსპრმმსპრ ნუკრი რევიშვილი (რუბინი, რუსეთი), ზვიად სტურუა (დინამო);

მმსპრმმსპრ კახა კლავსი (მელანი, იტალია), ზურაბ ხიზანიშვილი (მლეკტერნი, ინგლისი), ითარ ხიზანიშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ილია კანდელაკი კახა მყავანაძე (ორივე ჩერნომორცი, უკრაინა), ზურაბ მენთეშვილი (სკონტო, ლატვია), ლაშა საღვლეძე (რუბინი, რუსეთი), მათე ლენინაძე (ლოკომოტივი, რუსეთი), დავით კვიციკელია (მ ზაპოროჟიე უკრაინა);

ნახმსპრმმსპრმმსპრ ვიორგი ქინქლაძე (რუბინი, რუსეთი), ლევან ცქტიშვილი (ვოლფსბურგი, გერმანია), ვიორგი ვანურავა (ზესტაფონი), დავით მუჯირი (კროლია, რუსეთი), ჯაბა კანკავა (არსენალი, უკრაინა), ლევან კობიაშვილი (მაღლე, გერმანია), ვიორგო ხოკიძე (ტვენტე, პოლანდია);

თავდასხმებლები: მიხეილ აშვეთია (რუბინი, რუსეთი), ვიორგი დემეტრაძე (მაკაბი, თელ ავივი, ისრაელი), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), ლაშა ჯაკობია (მეტალისტი, უკრაინა), ითარ მარცვალაძე (დინამო, უკრაინა).

ახლა შეადარეთ ტომილერის სალბანეთო სია მალტურს — ისე განსხვავდება, როგორც ცა და დედამიწა.

კენჭულზე არგამოძახებულთაგან ტოპის სიაში მოხვდნენ სალუქვაძე, ხიზანიშვილი, კვიციკელია, ქინქლაძე, ვანოკიძე და აშვეთია. თუმცა... ვანოკიძისა და ხიზანიშვილის მალტაზე არყოფნა ტრავმის ბრალი იყო. ისე, „ტვენტეს“ ნახევარმცველი ახლაც მკურნალობს და საეჭვოა, 22 მარტამდე გამოჯანმრთელდეს.

მალტურ სიაში ჩაწერილ ფეხბურთელთაგან კი მ მ „ჩამოიწერა“ — რევაზ თევდორაძე, ვიორგი ფოფხაძე, ვიორგი ხიდეშელი, გულკერ თომაშვილი, ზაალ ულიავა, ვიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე, კახა მახარაძე, გივი ფიფია, მირზა ბეჟალავა, ირაკლი ჩირიკაშვილი, ალექსი ბენაშვილი, რევაზ გოცირიძე, ბექა გოცირიძე.

ილია ნანოზაშვილი

ქინქლაძის ალბანეთში თსოვნაზე ჰკიდია

22 მარტს საქართველოს ეროვნული ნაკრები ტირანაში ამხანაგურად გაეჯიბრება ალბანეთს. საამმატროდ გამოძახებულთა სია უკვე გამოცხადდა, თუმცა 22 მარტი ფიფას დღე არაა და ვინძლო, ამ სანაკრებო შეკრებაზე რამდენიმე ლეგიონერი ვერ ჩამოვიდეს. როგორც შევიტყვეთ, კლავს ტომილერმა ბიორბი ქინქლაძე მას შემდეგ გამოიძახა, როცა გაირკვა, რომ მალხაზ ასათიანი ტრავმირებული იყო — ქინქლაძე მალტის ტურნირისთვის ვერ ჩავიდა ნაკრებში და ამბობენ, ამან ტომილერი ძალიან გააბრაზაო. ასეა თუ ისე, 32 წლის ქინქლაძეს ტომილერმა კვლავ უხმო ნაკრებში, მაგრამ... ყაზანის „რუბინი“ ჩვენებურს ან გამოუშვებს, ან არა...



— მოსკოვში იაროსლავლის „მინიკოან“ რუსეთის თასის მერვედფინალის პირველ შეხვედრაში კი ვითამაშე, მაგრამ მეორე ტაიმში ადრე ნატკენი ნეკნი ამტკივდა და საპასუხო მატჩშიც ამიტომ ვერ ვითამაშე. მოსკოვიდან გუშინ დაბრუნდით ყაზანში და კვლავაც შეკრებაზე ვართ. ნეკნი ისევე მასუსებს, მაგრამ მინც ვვარჯიშობ. ექიმები მეუბნებიან, ნეკნს თაბამირს ვერ დავადებთ, ვერც სხვანაირად ვუკურნალებთ, თავისით, დროთა განმავლობაში უნდა მორჩესო —

გვითხრა ქინქლაძემ, როცა გუშინ შევეხმიანეთ.

— 22 მარტს ალბანეთთან მატჩისთვის სანაკრებო შეკრებაზე ჩამოხვალ?

— 19 მარტს „როსტოვთან“ გვაქვს საჩემპიონატო მატჩი, ხოლო 22 მარტს თასზე ცსკა-ს ვხვდებით. დაველაპარაკებ „რუბინის“ ხელმძღვანელობას და ვთხოვ, ალბანეთთან მატჩისთვის გამომიშვან თუ ასეთი თხოვნაზე დამთანხმდებიან, რა თქმა უნდა, ჩამოვალ.

— არადა, ბოლო ორ მონკვეა-

ზე ნაკრებში ვერ ჩამოხვდით.

— ორივეჯერ ტრავმამ შემოშალა ხელი, არადა, ნაკრებს ტომილერი რომ წვრთნის, ეს ფეხბურთელისთვის დამატებითი მოტივაციაა.

— ახლა უწინდელზე უკეთეს ფორმაში ხარ?

— მარშანდელზე გაცილებით უკეთ ვგრძობ თვეს ძალიან ნაყოფიერი შეკრება გავიარე „რუბინში“ და თავს ვატყობ, რომ უკეთესად თამაშს შევძლებ.

დავით თაგართილაძე



ლიუბინსკასა საქართველოს კალენდარი დაუნუნა შპრანამ თავისი ბააკითა

„ფიქრობ, ჩვენს ჯგუფში ყველაზე ცუდი კალენდარი სწორედ საქართველოს აქვს“ — ასე „დაგვამშვიდა“ ლიტვის ნაკრების მწვრთნელმა ალგიმანტას ლიუბინსკასმა გუშინ, როცა ევრო 2008-ის ჩვენი შესარჩევი ჯგუფის შეფასებანი დამტკიცებული კალენდრის კომენტარი ვთხოვეთ და თავისი მოსაზრება არგუმენტებითა ცაამყარა...

— დიას, მიმანია, რომ უფვას კენჭისყრით შემდგარი კალენდარი ყველაზე ცუდი საქართველოსთვის აღმოჩნდა. საქართველოს ვერ გუნდი არ ჰყავს, ჰყავს ახალი მწვრთნელი და პირველივე მატჩი საფრანგეთთან? ამის შემდეგ კი ვასვლა უკრაინაში და იტალიის მასპინძლობა. საქართველოსთვის აჯობებდა, შესარჩევი ციკლი უფრო სუსტ მეტოქეებთან თამაშებით დაეწყო და თქვენი გუნდიც ასეთ მრისხანე გუნდებთან შეხვედრებამდე აეწყობოდა.

— კი მაგრამ, საქართველო ხომ ავვისტოში ფარუებით იწვევს?

— ეს ვერ კიდევ დასახუსტებელია. საქმე ისაა, რომ ლიტვის დელეგაცია უფვას შტაბბინა კალენდრის მიღებისთანავე დატოვა, ხოლო მეორე მეტოქეებმა თარიღები როგორ გადაანაცვლეს, არ ვიცით. გუნდებისგან დამატებით ინფორმაციას ველით და თუ რამ არ დაგვაკმაყოფილებს, მაშინ ჩვენს უფლებას გამოვიყენებთ და მოვითხოვთ, ყველა მატჩი სწორედ უფვასგან დადგენილი პირანდელი კალენდრით ჩატარდეს.

— თქვენი აზრით, ყველაზე კარგი კალენდარი ჩვენს ჯგუფში რომელ გუნდს აქვს?

— უკრაინას. მათ ნამდვილად გაუმართლათ და გამოიღის, რომ კალენდარზე პარიზში მოლაპარაკებებისას ტყვილად არ გაჯიუტებულან. ახლა კი კარგი კალენდარი მიიღეს.

— ლიტვისთვის როგორი კალენდარია?

— არა უშავს, თუმცა უფვას კენჭისყრამდე საფრანგეთი, შოტლანდია და უკრაინა რომ არ გავიუტებულყვნენ, უკეთესი კალენდარი გვექნებოდა. კალენდარს ვიდრე უფვა დამატკიცებდა, მეტოქეები იქვე შევიკრიბეთ და ერთხელაც ვცადეთ მოლაპარაკება, მხოლოდ თარიღები იყო შესათანხმებელი და კომპრომისული კალენდარიც გვექნებოდა, მაგრამ მინც არაფერი გა-

მოვიდა. ისე კი, ქულებს თამაშები აგროვებს და არა კალენდარი. ყველა მეტოქესთან ისედაც სათანაშოა.

— მართალია, საქართველოს თავიდან საფრანგეთთან, უკრაინასთან და იტალიასთან აქვს მატჩები, მაგრამ, სამაგიეროდ, ბოლოს შოტლანდიას და ლიტვას მასპინძლობს.

— გასაგებია, მაგრამ... ჯგუფიდან გასვლის შანსი თავიდანვე თუ დაიკარგა, რაღა აზრი აქვს ბოლოს შოტლანდიას უმასპინძლებს საქართველო თუ ლიტვას? კარგი იქნება, ბოლო მატჩის წინ საქართველოსაც და ლიტვასაც მოტოვაცია თუ შეჩრებათ, ჯგუფში გამარჯვების შანსი ექნებათ და ჩვენი შეხვედრა ამხანაგურ მატჩს არ დაეშავსება.

— ლიტვის ნაკრებმა ბოლოს ალბანეთში მოიგო, თანაც საკმაოდ სახვეცილი შემადგენლობით. სექტემბრამდე კიდევ გადაახალიხებთ გუნდს?

— ენახოთ ისე, ალბანეთში ექვსი ახალი ფეხბურთელი გვყავდა და მათი მოშადების დონით კმაყოფილი დავრჩი. შესარჩევი ეტაპის დაწყებამდე კი კიდევ ექვსი ამხანაგური მატჩის გამართვას ვაპირებთ და ამ შემადგენლობას კიდევ ექვება თავისი სიძლიერის დამტკიცების შანსი.

— როგორც ვიცით, თაბონიასთან და პოლონეთთან მატჩები უკვე გადაწყვეტილი გაქვთ.

— დიას. ამ გუნდებს მსოფლიოს ჩემპიონატამდე ვითამაშებთ, გერმანიამდე ბუნდესლიგის ერთ-ერთ გუნდსაც გავჯიბრებთ. სხვა მეტოქეების ვინაობა კი ვერ დასახუსტებელია. მოკლედ, შესარჩევიამდე საკმაოდ გვაქვს ამხანაგური მატჩები და იმედია, სათანადოდ მოვემზადებით. ჯერჯერობით კი, ლიტვის ნაკრებს მთლად გაახალგაზრდავებულად ნუ ჩათვლით, გუნდის დაცვისა და თავდასხმის ხაზი უკვლილია.

კობა ინასარიძე

გაგონსა ჩაჩნიშოვისთვის: ჩის ფონზე ვებრძვით ზესტაფონს?

მისაც რაგბი არ აინტერესებს და ვაკეში წავა, ალბათ მრგვალი ბურთითაც იხილავს გატანილ ლელოებს — თბილისის „დინამო“ ბოლო წლებში მისთვის მტარვალ „ზესტაფონს“ მასპინძლობს.

ვაკეში ქართული საფეხბურთო მილეთი მივა, ალბათ ბევრი „ზესტაფონის“ ქომაგიც, მაგრამ ქომაგობა დღეს უფრო „დინამოს“ სჭირდება — ზესტაფონელები ისედაც ამაღლებულ განწყობაზე არიან, რამეთუ ოთხი დღის წინ თასის მფლობელდონალის პირველ მატჩში მინ 1:0 დასცეს „დინამო“.

დინამოელთა დამრიგებელი ანდრეი ჩერნიშოვი აქაურობას ვერ კარვად არ იცნობს, არადა, არის ნიუანსები, რისი ცოდნაც მწვრთნელს ძალიან ეხმარება საკანძო თამაშის მოგებაში.

აქ საქმე მხოლოდ იმაში როდია, რომ „ზესტაფონს“ საქართველოს ჩემპიონატში ჭიპოჭრილი ფეხბურთელები ჰყავს — უბრალოდ, „ზესტაფონი“ ამ ეტაპზე ბევრად კარგად ერკვევა აქაურ ნიუანსებში, ვიდრე ჩერნიშოვი. გამოცდილება იმერლების მხარესაა, მაგრამ „დინამოს“ საკუთარი კოზირები აქვს — ამბროზიო და იაშვილის თავურები.

რა თქმა უნდა, ჩერნიშოვისგან სხვა ფანდებსაც ველოთ, რომელთა წინასწარმეტყველებების უნარი ჩვენ არ შეგვწევს — ეს „დინამომ“ დღეს უნდა დაგვანახოს.

ზესტაფონელთა თავკაცმა თემურ მახარაძემ ძალიან კარგად იცის, როგორ ათამაშოს გუნდს დაეცვით ფეხბურთი და როგორ გამოიჭიროს მეტოქე შეცდომაზე, თუმცა „დინამოს“ და „ზესტაფონს“ შორის ძალთა ისეთი ბალანსია, მახარაძემ ვინძლო სხვა თამაში შესთავაზოს ჩერნიშოვის გუნდს...

და განა ბოლნისში ნაკლებად მწველი თამაში იქნება? ქვემოქართლელთა სტუმარი „ბათუმი“, რომელიც მიმდინარე სეზონში დიდი მიზნებისთვის ვერ იბრძოლებს პირველ წრეში დაკარგული ქულების გამო, თორემ შემადგენლობის მხრივ ბევრს არ ჩამოუვარდება და ნებისმიერი მეტოქისთვის ძალუშს ქულების ართმევა. მწვრთნელიც გამოცდილი ჰყავთ აჭარელებს — ოთარ გაბელია, რომელსაც კონკრეტულ მატჩში გუნდისთვის ტონუსის მიცემა კარგად ეხერხება. ისიც ვთქვათ, რომ მიმდინარე სეზონში „სიონს“ შინ ვერ ქულა არ დაუკარგავს, ხოლო სეზონის მეორე ეტაპზე ახალი მწვრთნელის, კახა ცხადაძის ხელმძღვანელობით ოთხივე თამაში მოივო. „სიონი“ მეორე ადგილზეა, საჩემპიონო ამბიცია აქვს და „ბათუმისგან“ განსხვავებით, ფეხი დაუცდება თუ არა, ამას მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

...თუ სენსაცია არ მოხდა, მცხეთ-

ბორჯომი — სოსუმი
მთავარი: ო. ხეცაძე, ა. გუნთაძე, ს. სპიტიანი, მ. მაისურაძე;
დამამკვირვებელი: თ. ლორთქიფანიძე

აგერი — ლოკომოტივი
მთავარი: გ. კიკაძე, ი. ლომიძე, მ. ურუშაძე, ვ. ელისაბედაშვილი;
დამამკვირვებელი: თ. რუხაძე

ბორჯომი — დილა
მთავარი: დ. სანაია, თ. ხუჭუა, ი. ურუშაძე, ჯ. ბუიშვილი;
დამამკვირვებელი: ი. ლორთქიფანიძე

სიონი — ბათუმი
მთავარი: ლ. სილაგავა, ზ. მენთეშაშვილი, ზ. ჯვარიძე, ა. ორდინიძე;
დამამკვირვებელი: მ. ქულიძე

სპარტაკი — კოლხეთი
მთავარი: ა. კრიჭავიძე, დ. კურტიანიძე, შ. ქუხილავა, მ. ბუქელიძე;
დამამკვირვებელი: დ. მენთეშაშვილი

ვიტ ჯორჯია — კახეთი
მთავარი: დ. ხარტიანიძე, გ. ჩიგოგიძე, ზ. ასკროლი, ლ. კვარაცხელია;
დამამკვირვებელი: ს. კუტიანიძე

ცხინვალი — თბილისი
მთავარი: პ. დოგრაშვილი, კ. გაბრიელიძე, ნ. რუსიშვილი, გ. ვადაჭორია;
დამამკვირვებელი: ა. დურსუნიძე

დინამო — ზესტაფონი
მთავარი: დ. ფანიშვილი, ზ. ხუციშვილი, გ. ცირცია, ა. ნონიკაშვილი;
დამამკვირვებელი: ს. კვარაცხელია

ამი „ვიტ ჯორჯიაში“ უნდა იმარჯვოს, ანუ მე-18 ტურმა ლიდერი არ უნდა შეცვალოს, მაგრამ ვიტელებს ჩერნიშოვის სიტყვებიც უნდა ენიშნოთ, „სარბიელს“ რომ უთხრა — ხასიათით და ბრძოლისუნარიანობით „კახეთი“ რიგაინი გუნდიაო. ...აუტსაიდერულ ამბავში მნიშვნელოვანი მატჩია გორში — თუ „თბილისმა“ „ცხინვალთან“ წააგო, უმაღლესი ლიგას ალბათ ხავსივითა თუ მოეჭიდება. ...არც ქუთაისში და ბორჯომში უნდა გამოვიდეს ნაცრისფერი მატჩები, ბოლოს და ბოლოს, „ბორჯომს“ ვერაც შეუძლია რომელიმე ევროსავსურისთვის ბრძოლა. ...გლდანში „ლოკომოტივთან“ მატჩში ფავორიტი „აგერი“ კია, მაგრამ ბოლო დროს ისეთი ტენდენციაა, რომ „აგერთან“ ყველა გუნდი მომეტებული მონდომებით იბრძვის — „აგერი“ „დინამო“ არაა, მაგრამ რადგან პირობებით და ინფრასტრუქტურით ერთ-ერთი მზარდი გუნდია, მეტოქეებს ბრძოლის სადერდელსაც ნიადაგ უშლის — ზოგადად, ჯანსაღი კლუბისთვის მისდამი ასეთი დამოკიდებულება სასიამოვნო უნდა იყოს...

დისკვალიფიციკაშულები:

- „სოსუმი“ — ვაჟა ჭყონიძე, ირაკლი ჭანტურია
- „ბორჯომი“ — არმან დოღონაძე
- „თბილისი“ — ნიკა გუმარაშვილი, ირაკლი ულენტი
- „დილა“ — ალბერტ საყვარელიძე
- „კახეთი“ — დავით ბურდული, რატი იმერლიშვილი
- „ცხინვალი“ — გავა ჩიტაია
- „დინამო“ — კახა მახარაძე
- „აგერი“ — დავით სევასტოპოლო
- „კოლხეთი“ — ზურაბ რაზმაძე
- „სიონი“ — ლაშა ჭელიძე
- „ბორჯომი“ — დარიო სებალე

| | | | | | | |
|------------|----|----|---|----|-------|----|
| ვიტ ჯორჯია | 17 | 13 | 3 | 1 | 37:10 | 42 |
| სიონი | 17 | 13 | 2 | 2 | 34:12 | 41 |
| დინამო | 17 | 12 | 2 | 3 | 29:9 | 38 |
| ლოკომოტივი | 17 | 10 | 3 | 4 | 28:13 | 33 |
| ზესტაფონი | 17 | 10 | 3 | 4 | 21:12 | 33 |
| აგერი | 17 | 10 | 2 | 5 | 20:11 | 32 |
| ბორჯომი | 17 | 10 | 1 | 6 | 29:16 | 31 |
| ბათუმი | 17 | 8 | 4 | 5 | 19:12 | 28 |
| კოლხეთი | 17 | 7 | 2 | 8 | 16:20 | 23 |
| კახეთი | 17 | 6 | 1 | 10 | 18:26 | 19 |
| დილა | 17 | 5 | 1 | 11 | 21:27 | 16 |
| ტორპედო | 17 | 4 | 4 | 9 | 14:24 | 16 |
| ცხინვალი | 17 | 4 | 3 | 10 | 14:33 | 15 |
| სოსუმი | 17 | 3 | 1 | 13 | 17:41 | 10 |
| სპარტაკი | 17 | 2 | 2 | 13 | 4:33 | 8 |
| თბილისი | 17 | 1 | 2 | 14 | 11:33 | 5 |

დავით თავართქილაძე



ჯორდანო ბრუნოს კოცონი რომ აუგებოზეხ, ვიდაც დედაბერმა იმხელა ცეცხლს ერთი ფიჩხიც შეუკეთა, რაზეც ჯორდანოს აღმოხდენია: ჰოი, წმინდაო გულუბრველობაჰ!

დედაბერი, ცხადია, უბირი იყო, თუმცა ეგეთი რამეები ხანდახან ნაკითხ ადამიანებსაც ემართებათ...

ჩემპიონატის მეორე წრის დაწყებამდე ოთხი დღით ადრე „ცხინვალის“ უფროსობამ გვამცნო, ფული ჩაგვირიცხეს და სეზონის განახლებამდე შეძლებისდაგვარად შეკრებასაც გავივლითო.

თუმცა ეს არაფერი — ცხინვალელებს ფული რამდენ დღეზეც გავწდათ, იმდენდღიანი შეკრება დაგვგემს. უფრო საინტერესო კი „ტორიას“ ბურთების ამბავია.

ამასწინათ ლანჩხუთელებმა დაიჩივეს, ბურთი არ გვაქვს, რომ ვივარჯიშოთო.

ამის გამგონეს, წესით, თვალზე ცრემლი უნდა მოგადგეს და თავიდან ჩვენც ვერ დაგვემართა. მაგრამ უცაბედად გავახსენდა: სეზონის წინ ფედერაციის ახალმა უფროსობამ ძველი უფროსობის ჩამოტანილი ბურთები უმაღლესი და პირველი ლიგების კლუბებს საჩუქრად გადასცა. რაოდენობაც გვახსოვს — გუნდზე 20 ბურთი.

კი, „ტორამონდის“ ბურთები დიდი ვერაფერი ხარისხისაა (რას იფიქრებდა ტომპილერი, მიხეილ სააკაშვილმა „ტორამონდი“ რომ ანუქა?) მაგრამ მაინც ბურთია და ეგებ ვინმემ გავგავებინოს, რა მოხდა: ფედერაციამ დაჩაგრა გურულები თუ გურულებს ჩაუცვივდათ ეს ბურთები პალიასტომში?

ახლა კლუბებიდან ფედერაციაში გადაინაცვლოთ და დიდი თანამდებობის პირის, სამსაჯო კომიტეტის შეფის კაბინეტში შევიხედოთ და გავარკვიოთ, როგორი მეთოდით განსჯის შეფი თავისი ხელქვეითების, ანუ მსაჯების მუშაობას.

ჩემპიონატის წინა ტურში „ზესტაფონის“ მეკარემ „ამერის“ ფორვარდის კარში დარტყმული ბურთი საჯარიმოს გარეთ ჩახტომში ხელით მოიგერია. მსაჯმა ლევან კვარაცხელიამ ეს დაინახა, მაგრამ წესების წესიერად არცოდნის თუ სხვა რამ მიზეზთა გამო მეკარეს წითელი ბარათი არ ამოუღო.

სამსაჯოს შეფი ამირან კაჭახიძე კი ამბობს, კვარაცხელიას წითელი არც უნდა ამოეღო, რადგან ის ბურთი ან გავიდოდა ან არა, კარში ორი მცველი იდგაო.

რომ ვუკვირდებით, მართალია ბატონი ამირანი. მცველი სულ რომ არ მდგარიყო კარში, ეგებ მეხი დასცემოდა იმ ბურთს ან ქარიშხალი კატრინა ამოვარდნილიყო უცაბედად და მასპინძელთა კარისკენ მიმავალი ბურთი საპირისპირო კარისკენ გაეკანებინა...

ისე, საიდან გაიგო ბატონმა სამსაჯოს შეფმა, კარში მცველები რომ იდგნენ? მსაჯისგან? არა. დამკვირვებლისგან? არა. ფირი ნახა? არა. დაესიზმრა? არა.

სამსაჯოს შეფმა ის ამბავი, რომ კარში მცველები მდგარან, გოლი ან გავიდოდა ან არა და მსაჯი გაიციხვას არ იმსახურებდა, მაყურებლისგან შეიტყო.

ლაპარაკია თამაზ ბოკერიაზე, ფეხბურთის ფედერაციის მოხელეზე და თუ სამსაჯოს შეფი გვეტყვის, ბოკერია საქართველოს ნაკრები გუნდების მენეჯერია და არა უბრალო მაყურებელიო, მიუგებთ: ბოკერია იმ მატჩზე არც მსაჯი ყოფილა, არც დამკვირვებელი და არც დელეგატი, ამასთან, არც რომელიმე კლუბის ოფიციალური წარმომადგენელია და ამდენად იმ კონკრეტულ მატჩზე მისი სტატუსი მაყურებელზე მეტს ვერ ქანავს.

ბოკერიას რას ვერჩით, აზრი ჰკითხეს და თავად როგორც დაინახა, ისე თქვა. მაგრამ ამხელა კომიტეტის უფროსს ასეთი გულუბრველობა სამსახურებრივად არ შეეშენის.

რუბრიკის პერიოდულობა იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად ხშირად მოგვეცემენ ჩვენი საფეხბურთო მოხელეები საკბილოს. ასე რომ, გემშვიდობებით, მეტს ნუღარ ვიტყვით და, მომდევნო გულუბრველობამდე...

პატივისცემით, ავტორი

ჯვარსმული კუნძული

მალტური უბონება: აკეთე ის, რაც იცი

პატარა ქვეყანაა მალტა.

იმდენად პატარა, რომ ერთკვირიანი მოგზაურობის შემდეგაც ვერ გამოიყოლებ შთაბეჭდილებების ზღვას, თუმცა შევეცდები, რამდენიმე მოკლე ისტორიის დახმარებით მიახლოებით მაინც გადმოგცეთ კუნძულზე ნანახ-განცდილი...



ჭალიძე მუსონს თაპი აატკივა

მოსკოვის „ლოკომოტივის“ მარშანდლის მერე თავდასხმაში ძალიან უჭირს ამის ახსნა კი დმიტრი სიჩოვის ტრავმა უნდა იყოს, რომელიც უკვე გამოჯანმრთელდა, თუმცა სრული დატვირთვა ვერ არ შეუძლია და ამ დროს „ლოკომოტივის“ მთავარ ფორვარდს ვიორგი ჭელიძე ფალობდება.

„ჭელიძეს ახლა გადაწყვეტი პერიოდი აქვს. ქართველი თუ ასეთი სისხრით გააგრძელებს ვოლენის გატანას, სლავოლიუბ მუსლინი დილემის წინაშე დადგება და შესაძლოა, სამი ფორვარდით (ოკონოი-ჭელიძე-სიჩოვი) ითამაშოს“ — წერს რუსული პრესა.

მიხედვით, ჭელიძემ ისევ გაიტანა: ესპანურ შეკრებაზე მყოფი „ლოკომოტივი“ „მალაგასთან“ 0:1 აგებდა, შესვენების შემდეგ „პაჭელო“ ახალწვეული, შოტლანდიელი ოკონოი შეცვალა და 83-ე წუთზე ანგარიში გაათანაბრა. შეგახსენებთ, ჩვენთანაა წინა ორ ტესტ-მატჩშიც მიითვალა თითო გოლი.

„ვლადიმისტიკის“ ილუჩი ენერჯის“ ქართველი მეკარე, ვიორგი ლომიაძე კი ლატვიურ „დინაბურგთან“ 3:0 მოგებულ მატჩში ითამაშა. ისევე, როგორც წინა შეხვედრაში, ჩვენებური ახლაც ძირითადად იყო და შესვენებაზე შეცვალეს ჩანს, ლომიაძე ახალ სეზონში შორეულ აღმოსავლელთა მთავარი მეკარე იქნება.

ილია ნანოვაშვილი

არჩილ სახვაძე შეადართვი მიღის

27 წლის მარცხენაფლანგელი არჩილ სახვაძე სეზონის პირველ წრეში თბილისის „დინამოში“ თამაშობდა, ბოლო რამდენიმე თვე უკუწოდებდა იყო, ახლა კი მას უქმობა აღარ მოუწევს — შევლითში მიდის.

სახვაძე შევლითის უმაღლესი ლიგის, აღსვენსკას რომელიმე გუნდში მოწყობას ეშურება და ვერ ზუსტად გარკვეული არაა, თუ რომელ გუნდში მივა ჩვენებური. სახვაძე ახლა სავიზო პრობლემების მოგვარებითაა დაკავებული და რამდენიმე დღეში გაემგზავრება სკანდინავიაში. სახვაძის შევდურ ტრანსფერზე აგენტის მალხაზ მუსხელიძე მუშაობს.

შეგახსენებთ, სახვაძე თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს კაპიტნობდა, ეროვნულში კი ერთხელ უთამაშა.

დავით თაგარტილაძე

მალტაზე პირველი შთაბეჭდილება უკვე ბრიუსელის აეროპორტში შეგეჭმნა, „ვარ მალტას“ თვითმფრინავის სალონში შესვლისას. ასორმოცდაათამდე მგზავრში ცხრა ქართველი ვართ, ორი-სამი ამდენი ტურისტი იქნება, დანარჩენები კი აშკარად შინ მიმავალი მალტელები არიან. თითქოს ყველა ერთმანეთის ნაცნობი და ახლობელია — დიმილით ესალმებიან და მოიკითხავენ. დაახლოებით ისეთი სიტუაციაა, როგორც სადამოხანს №96 სამარშრუტო ტაქსში, მეტრო „ახმეტელიდან“ გლდანის მერვე მიკრორაიონში რომ მიდის.

ერთმანეთის მოკითხვა კიდევ გასაგებია, მაგრამ სალონის ბოლოში საკუთარი ადგილისკენ მიმავალს მეც დიმილით შესალმებიან. სასიამოვნოა, როცა ასეთ სტუმართმოყვარე ქვეყანაში მიდიხარ, თუმცა მალტელთა ამ დიმილიანი საღმის „საიდუმლო“ მოგვიანებით ამოვხსენი. ორი-სამი დღის შემდეგ ერთმა იქაურმა მითხრა, ენა რომ იცოდე, ნაღდი მალტელისგან კაცი ვერ გაგარჩევს. ვითომ? ამის მოქმედი დარწმუნებული იყო, რომ კომპლიმენტს მეუბნებოდა და რა ვიცი...

მალტის მასშტაბები კი თვითმფრინავის მარშრუტიდანაც კარგად ჩანს: ბრიუსელი-მალტა და არა მაგალითად, ბრიუსელი-ვალიეტა ან ბრიუსელი-ბირკირკარა. კუნძულის სიგრძე სულ 17 კილომეტრია, სიგანე 13 და ცხადად უკვე გამოგზავრებისას აღვიქვი. თვითმფრინავი კუნძულის ერთადერთი აეროპორტიდან აფრინდა, წრე მოხაზა და უკან მობრუნებულმა ხმელთაშუა ზღვაში ჩაკარგულ ციციქა კუნძულს ერთხელაც გადაუფრინა. მთელი მალტა ხელისუფლებზე გადაიშალა — ზუსტად თვითმფრინავის ასაფრენი ზოლის სიგრძეა, რომელიც მას თავიდან ბოლომდე კვეთს.

კუნძულზე ავტობუსის მძღოლები გაიფიცნენ. მე და დავით ცაბაძე „სპორტიდან“ ნაკრების დილის ვარჯიშზე ვართ წასასვლელი. ერთადერთი გამოსავალი ტაქსია. მთელს ბუჯიბაში, სადაც ჩვენ დაგვასხლდით, ორად ორი ტაქსია, თუმცა დილიდან სადამომდე იხინიც უქმად „აბირყავებენ“ ქალაქის ცენტრში მდებარე სკვერში. მიველით. „ტა ქალიძე“ ექვს მალტურ ლირად (18 ლოლარია) წავიყვანთო, გვეუბნება. წავიდა ვაჭრობა. გვინდა აუხსნათ, რომ „ტა ქალი“ ორი ფუხის ნაბიჯზეა, ამ ფასად კი თბილისელი ტაქსის მძღოლი დილიდან სადამომდე გასეირნებს (აშკარად ვატყუებთ). არაფერმა გაჭრა. მოკლედ, ერთი 15 წუთი დაგვტანდა და ბოლოს იქვე მდგარ ბოძზე გვანიშნა — მაგას ვვაჭრეთო. თვალი ავაყოლოთ. სხვა შესაძლო მარშრუტებს შორის სპეციალურ დაფაზე ჩვენცაა მინიშნებული: „ბუჯიბა—ტა ქალი“: 6 ლირა.

„სტოლბასთან“ ვაჭრობას აშკარად არ ჰქონდა აზრი. წავედიო.

საქართველოს ნაკრები ბუჯიბას ვარჯიშობდა მდებარე სასტუმრო „ქოსთლანში“ და ბინავდა და ჩვენც ამ ქალაქში გადავწყვეტეთ ცხოვრება. სასტუმრო „ბელ სოლი“ შევარჩიეთ, თუმცა დიდი მნიშვნელობა ნამდვილად არ ჰქონდა სასტუმროს. წელიწადის ამ დროს კონტრენტზე ყველაფერს ერთნაირად — ძირითადად ხანში შესული ინგლისელი წყვილები. „ხანში შესულს“ მოკრძალებით ვამბობ, თორემ ჩვენს შემდეგ ყველაზე ახალგაზრდა ალბათ 70 წლის იყო. ჰოდა, სადამოხანს ამ ღვაწლმოსილ ბებია-ბაბუებს, რომლებსაც „სეილის“ სეზონზე გადავწყვეტით მალტაზე დასვენება, სრულად ჰქონდათ ოკუპირებული სასტუმროს ჰოლი, ბარი, რესტორანი. „მოფერებით“ ჩვენს სასტუმროს „კეთილშობილ მოხუცთა პანსიონი“ დავარქვით.

საქართველოს ნაკრების მოვლევასთან მარცხის შემდეგ მე და ჩემს კოლეგას ნომერში „განხილება“ გვექონდა და თავადაც ვერ შევნიშეთ, რომ ზომაზე ხმაძალა დაუწყვეთ ერთმანეთს რაღაცის მტკიცება. კედელზე ბრაზუნმა გამოგვაფხიზლა, ღამის ორი საათი იყო და დავმოშინდით.

ზუსტად ორი დღის შემდეგ რომელიმეც ბრიტანული ტელეარხით ინგლისისა და ურუგვაის ნაკრებთა ამხანაგური მატჩი გადაიციეოდა. მთელმა სასტუმრომ ბარში, დიდკრანთან ტელევიზორთან მოიყარა თავი. აბა, საყურებელი ეს იყო — მანამდე თითქოს ხათრით მოსიარულე ბაბუები და, რაც მთავარია, ბებიებიც, ერთბაშად გადაიქცნენ თავდაჯერებულ ქომაგებად.

ის შეხვედრა ინგლისელებმა 2:1 მოიგეს და გვიანობამდე ჩვენი სასტუმრო ნამდვილსკას მოგაგონებდათ, თუმცა კედლებზე ბრაზუნი ნამდვილად არ დაგვიწყია...

ბუჯიბაში ყველა ბარი ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს. საღამოს, როცა სარედაქციო დავალება შევასრულეთ, ერთ-ერთში შევიარეთ. ლუდს ვწრუპავთ და ინტერვიუს ვთვალთვლებთ. ჩვენს გარდა სამი არიან — მალტელი პოლიციელი და მისი თანმხლებელი ორი ახალგაზრდა ქალბატონი. ერთი აშკარად პოლიციელის გულის ვარდია, მეორეს კი ინგლისურსა და იერზეც ეტყობა, რომ ჩვენთვის „ახლი საზღვარგარეთიდან“ უნდა იყოს. სტაფროპოლელი აღმოჩნდა და როცა გაივო, თბილისიდან ვიყავით, გვითხრა, აქ ერთი თქვენი „ზემოლაკი“ ცხოვრობს და თუ დაურეკავთ, ძალიან გაუხარდებაო. „ზემოლაკს“ რაფიკა ჰქვიაო, მაგრამ ისე უნდოდა რომ დამერეკა, უარი ვუღარი ვუთხარი.

— ზღრასტი, რაფიკაან! — რუსულად ვუხსნი, რომ თბილისელი ჟურნალისტი ვარ და მალტაზე მივლინებით ჩამოვედი.

— ქართველი ხარ, კო?

— ?!

— მე ბათუმელი ვარ და სამი წელია, აქ ვემუშავებ.

— მართლა რაფიკა ჰქვია?
— არა, ვიორგი. რაფიკას აგნები შეძახიქ. მეორე დღის საღამოსთვის მიგვიპატიოთ ვიორგიმ, მაგრამ მეორე საღამოს მალტა — საქართველო იყო, დილით კი უკვე მოვფრინავდით. მაინც ვერ გავიგე, რატომ ეძახდნენ „იენები“ ვიორგის რაფიკას. ისე კი, თუ მალტურად ვიორგი რაფიკად ითარგმნება, აბა, დროზე გამომისწრია.

ჩვენი კუნძულზე ყოფნის ბოლო საღამოა. მალტა — საქართველოს მატჩზე ვართ წასასვლელი ტაქსის ვაჭრებზე მივდივართ. რა თქმა უნდა, აქ არის მანუელი — ჩვენი ნაცნობი ტაქსის მძღოლი, „სტოლბასთან“ სავაჭროდ რომ ვაგვიშვია, ის ვარის ძმაკაცივით გვესალმება და მარშრუტს აღარც კითხულობს, იცის კაცმა თავისი საქმე.

— მარეულ, დღეს საღამოს მალტა და საქართველო ხვდებიან ერთმანეთს. ვინ მოაგებს?

— „კანეშა“, საქართველო.

— საიდან იცი?

— მალტელები მარტო ღვინის ხმაში ვართ მაგრები.

— ღვინის ხმაში ქართველები, ვისაც ვინდა, ფორას მივცემთ, ცოტა ფეხბურთი გვაფიქრებს. მაინც რა ანგარიშით დასრულდება დღევანდელი შეხვედრა?

— საქართველო 2:0 მოიგებს.

რას ერჩი, ნაღდი 60-იანი „კოში“ დასვა მანუელმა. თუმცა ტოტალიზატორში შესვლა არც უფიქრია, მით უმეტეს, არც სტადიონზე აი, მორჩება სამუშაო საათები, შევა იქვე სკვერთან მდებარე ბარში და ერთ-ორ ჭიქას გადაჭრავს. აქი თქვა, მალტელები ხმაში ვართ მაგრებიო. ჰოდა, იმას აკეთებს, რაც იცის.

ძალიან გაიწვლა მალტური ერთი კვირა. ალბათ იმიტომ, რომ უფრო მეტს მოველოდი და ნანახმა მოლოდინი ვერ გამძაბრილა. სამი-ოთხი ქალაქის ნახვა მოვასწარი, იქაური ზღვაც ენახე და პლაჟიც. ზღვა, იცოცხლებ, კარგი აქვთ, თუმცა ამას თავის დამსახურებად ვერ მიიწერენ და კუნძულს კი აშკარად ეტყობა, რომ ზარმაცი, სამხრეთული ხაღისი ცხოვრობს. ცივი და ერთფეროვანი არქიტექტურა, კაქტუსის ნაკრძალი და მალტელთა სიამაყე — ზერები, ერთი მუხლმავარი კახური ოჯახის მამულს მხელად რომ გავტოვდებო, ერთადერთი, რაც მართლა უცხია და ყურადღებას იქცევს, ისტორიული ძეგლებია, რამდენიმე საუკუნის მანძილზე რომ შემონახეს კუნძულზე გადმოსახლებული კატორღელებისა და ლევენდებლ ქვეული მეკობრეების ისტორია. ქვეყნის სიმბოლო კი მალტური ჯვარია, რომელიც ღამის ყველა საყოფაცხოვრებო ნივთზეა გამოსახული.

არ ვიცი, შეიძლება მალტის სილამაზის აღსაქმელად აღრიანი გაზაფხული შესაფერისი დრო არც არის. შეიძლება, ერთი კვირაც მეტისმეტად ბევრია საიმისოდ, რომ მალტიდან აღფრთოვანებული დაბრუნდე.

გიორგი ნოვაძე

ჩემპიონთა ლიგა 2005-2006. მეოთხედფინალის წილისყი

-  არსენალი (ინგლისი) – იუვენტუსი (იტალია) 
-  ლიონი (საფრანგეთი) – მილანი (იტალია) 
-  ინტერი ან აიაქსი – ვილიარეალი (ესპანეთი) 
-  ბენფიკა (პორტუგალია) – ბარსელონა (ესპანეთი) 

პირველი მატჩები გაიმართება 28-29 მარტს, საპასუხოები 4-5 აპრილს

ნახევარფინალი

I წყვილის გამარჯვებული – III წყვილის გამარჯვებული

II წყვილის გამარჯვებული – IV წყვილის გამარჯვებული

პირველი მატჩები გაიმართება 18-19 აპრილს, საპასუხოები 25-26 აპრილს

ფინალი. 17 მაისი

აკენჭილები და აკანჭული

პარპი იქნებოდა, მაღამ კაროლ რუსო ფეხზე მყარად მდგარიყო, ფრანგულს, ესპანურსა და ინგლისურს შორის არ აბურდულიყო და ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალისა და ნახევარფინალის კენჭისყრის ცერემონია უკეთ წაყვანა, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ხალხს წამყვანის სცენაზე წაქცევა რა, სხვა სანახაობებზე ნაკლებად ართობს?! მოკლედ, მთავარი ეს არ არის. მთავარია, რომ წილი ნაყარია, და-

უწერელი კანონი კი დაცული: არის ხალხი, რომელიც თავის ყოფილ გუნდს უნდა დაუპირისპირდეს: იუვენტუსელი პატრიკ ვიერა „პაიბერიზე“ ბრუნდება, „ბენფიკას“ მწვრთნელი რონალდ კუმანი კი „ბარსელონას“ გაგდებას შეეცდება. „პატრიკის“ „პაიბერიზე“ გამოჩენა მშვენიერი იქნება — განაცხადა „არსენალის“ ვიცე-თავმჯდომარემ დევიდ დინმა — მას ხალხი თბილად მიიღებს. ის ჩვენი გუნდის

დიდი კაპიტანი გახლდათ და „არსენალში“ ცხრა საუცხოო წელიწადი გაუტარებია.“
მეთოფეთა მწვრთნელი არსენ ვენგერი: „კეთილი იყოს პატრიკის დაბრუნება მის უსაყვარლეს სტადიონზე. ჩვენი ყოფილი თანაგუნდელი ვარსკვლავების ნახვას ყოველთვის მივესალმებით, მაგრამ იმის გარანტიასაც ვაძლევთ, რომ ჩვენ წინააღმდეგ თამაში ძალიან გაუჭირდებათ. „იუვენტუსი“ „ბარსე-



ლონას“ შემდეგ შეჯიბრების მეორე ფაქტორია და მასთან საკუთარი ოსტატობის გამოვლენა დიდებული რამ იქნება.“
1992 წლის ტიტულის მფლობელი „ბარსელონა“ კი 1961 წლის გამარჯვებულ „ბენფიკას“ ხვდება. ლისაბონის გუნდს რონალდ კუმანი წვრთნის, ფეხბურთელი, რომელმაც ხსენებულ 92-ში „ბარსას“ გამარჯვების გოლი გაიტანა „სამპდორიას“ კარში. კიდევ ეს წყვილი ორი პოლანდიელი მწვრთნელის, თანაგუნდელის, კუმანისა და ფრანკ რაიკარდის დაპირისპირებით იქნება სასერიო.

„მილანი“ „ლიონს“ შეხვდება. „მილანი“ ჩემპიონთა თასის ექვსჯერ მფლობელია, „ლიონი“ კი, მეოთხედფინალს იქით არასდროს ყოფილა. „ინტერს“ და „აიაქსს“ შორის გამარჯვებული კი „ვილიარეალს“ ერგება.
ჯაჩინტო ფაკეტი, „ინტერის“ პრეზიდენტი: „ამწუთას მხოლოდ „აიაქსზე“ ვფიქრობთ. საერთოდ კი კმაყოფილი ვარ, „მილანს“ რომ ავცდით. ბოლო წლებში მას ორჯერ შევხვდით და ორჯერვე გაგვიმწვარა.“
პაპუნა კედი

უეფას თასი 2005-2006. მეოთხედფინალი. I მატჩები

გუგარესტში დოღს უბჟაუნეს

| | |
|---|---|
| რბპიდი (რუმინეთი) 2:0 ჰამბურგი (გერმანია) | 1:0 დ. ნიკულაე (45), 2:0 ბუგა (88) |
| პალერმი (იტალია) 1:0 შალკე (გერმანია) | 1:0 ბრიენცა (15) |
| პალერმი: ანდუხარი, კონტეტი, ტერლიცი, ბარძალი, აკარდი, ბარონე, კოდრია, გოჯანი ტედესკო (შუტარელი 61), სანტანა, ბრიენცა (მ. გონსალესი 70), გოდუაში (კარაჩოლო 88) | შწვრთნელი: ჯოზეპე პაპადოპოლო |
| შალკე: ფ. როსტი, რაფინია, ბორდონი, კრსტიანი, პომპინაშვილი (დ. როდრიგესი 78), ფ. ერსტი, კ. პოულსენი, ბაირამოვიჩი, სანდი, ასამოა (გ. ვარელა 81), ლარსენი | შწვრთნელი: მიჩელო სლომა |
| შწვრთნელი: მიჩელო სლომა | გაფრთხილება: ბარონე, რაფინია |
| შსაჯი: ურიკ ბრაამპარი (პოლანდია) | 10 581 მაყურებელი |
| სტიაშა (რუმინეთი) 0:0 ბატიზი (ესპანეთი) | ლილი (საფრანგეთი) 1:0 სპილინი (ესპანეთი) |
| 1:0 დერნისი (24) | ბაზალი (შვეიცარია) 2:0 სტრასბური (საფრანგეთი) |
| 1:0 მ. დელგადო (8), 2:0 კუზმანოვიჩი (89) | ბარსელი (საფრანგეთი) 0:1 ზენიტი (რუსეთი) |
| 0:1 არშავინი (51) | უდინეზე (იტალია) 0:0 ლევიკი (ბულგარეთი) |
| მიდლსბრო (ინგლისი) 1:0 რუმბა (იტალია) | 1:0 აივბენი (123) |

ბერამანულ ფეხბურთი შავ დღეშია. ვერ იყო და ნაკრები განადგურდა იტალიასთან (1:4). მერე ატინურმა კლუბებმა „ბაიერი“ და „ვერდერი“ დაიფრინეს ჩემპიონთა ლიგიდან. ახლა კი უეფას თასზეც ბუნდესლიგელები დამარცხდნენ.
დავიწყეთ „ჰამბურგის“ მოულოდნელი წაგებით ბუქარესტში. „რაპიდმა“ მერვედფინალში გასვლით უკვე გაგვაკვირვა, მაგრამ ჰამბურგელთა მარცხს ცოტა ვინმე თუ ელოდა. მით უმეტეს, რომ თომას ლოლის შეგირდებმა გასულ უქმებზე ბუნდესლიგის ერთპიროვნულ ლიდერ „ბაიერსს“ მიუხეხნენი მოუგეს. მატჩის დებიუტი უდიდესი გამოდგა. მეტოქეები ფრთხილობდნენ.

მხოლოდ პირველი ტაიმის შუაში გამოიჩინეს მასპინძლებმა ფხა და ორი-სამი სახიფათო დარტყმით შეაწუხეს შტეფან ვესტერი. განსაკუთრებით აქტიური დანიელ ნიკულაე გახლდათ, რომელმაც გაიტანა კიდევ გოლი პირველი ნახევრის დამატებულ წუთზე. დაახლოებით 20 მეტრიდან მისი დარტყმული უხადლო გამოდგა.
ჰამბურგელებს გათანაბრება მეორე ტაიმის დასაწყისში შეეძლოთ, მაგრამ კლინგბეილმა ვერ ივარგა. 66-ე წუთზე სტუმრებს ნაიჯელ დე იონგი გაუგდეს, ხოლო 88-ე წუთზე მუგურელ ბუგამ მეორე შეაგლო და რუმინელებს საპასუხო მატჩის წინ ორბურთიანი ფორა დაუ-

ბევა. მასპინძელთა მცველმა ვასილ მათევიმ კი ბოლო 6 წუთში ორი ყვითელი ბარათის მიღება მოასწრო.
სერია A-სგან განსხვავებით, „პალერმი“ უეფას თასზე კარგად თამაშობს. სიცილელებმა „შალკეს“ თავიდანვე დაახვეს თავბრუ და სწრაფი გოლის გატანაც შეძლეს. მე-15 წუთზე ფრანკო ბრიენცამ პაულ კოდრის პასით იხეირა. იმავე ბრიენცასა და მის თანაგუნდელს პირველ ტაიმში რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ, მიუხედავად საგრძნობი უპირატესობისა, ვერც შესვენებამდე და ვერც მის მერე ჯოზეპე პაპადოპოლოს გუნდმა სხვაობის გაზრდა ვერ შეძლო. გატანის შანსი სამჯერ ველ-ზენკირხენელებსაც მიეცათ, მაგრამ ებე სანდმა ოდნავ ააცილა, სიორენ ლარსენის დარტყმული ბურთი ანდრეა ბარძალიმ კარის ხაზიდან გამოიტანა, ხოლო კრისტიან პოულსენმა ძელი შეაზანზარა.
შეიძლება მოულოდნელობა დაეარქვათ „ზენიტის“ გამარჯვებას „ველოდრომზე“, მაგრამ, მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე, პეტერ-ბურგელებს უფრო დიდი სხვაობითაც უნდა მოეგოთ. ყველაფერი მეორე ტაიმის დებიუტში გადაწყდა. ანდრე არშავინის ეფექტურად დარტყმა ფაბიენ ბარტეზმა ცხრიანიდან ჩამოსწია, მაგრამ დაახლოებით 5 წუთში რუსთა თავდამსხმელმა თითქმის მსგავსად დაარტყა და ულამაზესი გოლიც გაიტანა.
70-ე წუთზე „მარსელს“ გუნდის ლიდერი ფრანკ რიბერი გაუბეჯეს რის მერეც „ზენიტმა“ უფრო მეტი სახიფათო მომენტი შექმნა და სულ მცირე, კიდევ ერთი გოლი მანც უნდა გაეტანა, მაგრამ რუსებს ხან ხარისხა აღუდგათ წინ, ხან ფაბიენ ბარტეზი და ხანაც თავად თამაშეს ცუდად.
ტრავმებით გატანჯული „რომა“ „რივერსაიდს“ ფაქტობრივად უთავდამსხმელოდ და დისკვალიფიცირებული დანიელ დე როსის გარეშე ეწვია. მიუხედავად ამისა, იტალიელებმა მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და მატჩში პირველი მომენტიც შექმნეს — სიმონე პეროტას დარტყმული კარის ხაზიდან გარეშე საუთგეიტმა გაბოიტანა. მერე ჯანლუკა კურჩიმ



ლევან კობიაშვილის „შალკეს“ საპასუხო მატჩში გვარიანი გარჯა მოუწევს

რე, კიდევ ერთი გოლი მანც უნდა გაეტანა, მაგრამ რუსებს ხან ხარისხა აღუდგათ წინ, ხან ფაბიენ ბარტეზი და ხანაც თავად თამაშეს ცუდად.
ტრავმებით გატანჯული „რომა“ „რივერსაიდს“ ფაქტობრივად უთავდამსხმელოდ და დისკვალიფიცირებული დანიელ დე როსის გარეშე ეწვია. მიუხედავად ამისა, იტალიელებმა მეტოქეს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და მატჩში პირველი მომენტიც შექმნეს — სიმონე პეროტას დარტყმული კარის ხაზიდან გარეშე საუთგეიტმა გაბოიტანა. მერე ჯანლუკა კურჩიმ

ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი მოცულა და იაკუბო აივბენიმ პენალტით გაიტანა. დარჩენილ დროში ინგლისელებს მცირე უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ მომენტები ორივე კართან ძალიან იშვიათად იქმნებოდა და ანგარიშიც აღარ შეცვლილა.
„ლილმა“ კი ფეფრი დერნისი კუთხურიდან გატანილი გოლით დაამარცხა „სევილია“. ეს გოლი სტუმართა გოლიკიპერ ანტონიო ნოტარიოს სინდისხუა. ესპანელებს მრავალი საგოლე ეპიზოდი ჰქონდათ, მაგრამ ბოლო მომენტში სცოდადნენ.
გიორგი კაბაბაძე



30ს 30ს ღა, 32 წლის ფილიპო ინძა-ვის კარგად მოეხსენება რას ნიშნავს თი-თქმის უძველესი მდგომარეობის სასიკეთოდ შემოღობვა — თავდამსხმელს ტრავმის გამო ორი წელიწადი გაუცდა, მაგრამ ცხო-ვრებას არ დანებდა და დღეს კვლავ „მილანის“ მთავარსკვლავეთია.

„ვეჯიქობ, ჩვენ ეს ვერ კიდევ შეგვი-ძლია. თუნდაც კვირას ბოლო იმედის დღე იყოს, მთავარია, საკუთარი ძალისა ვირწმუ-ნით. ამ სეზონში „იუვენტუსი“ ფინოშენა-ლურია, თუ ასე გააგრძელებს მისი გადას-წრება წარმოდგენილი გახდება, მაგრამ ამ შეხვედრაში მაინც ყველა ღონე უნდა ვცა-დლოთ“ — თქვა უტეხი სულის თავდამსხმე-ლმა, ჩვენ კი სერია A-ს მთელი სეზონის მთავარი თამაშის, „იუვენტუსი“ — „მილანის“ ანონსს ვთავაზობთ.

და ბარემ აქვე ტურინელი ვარსკვლავის მოსახრებასაც გავუცნოთ. პაველ ნედევი:

„ჩვენ ხანგრძლივი შეჯიბრებისთვის ვართ კარგად მომზადებული, მილანელები კი პლეი ოფებში არიან უბედურნი. არის თუ არა „იუ-ვენტუსის“ და „მილანის“ კვირის თამაში გა-დამწყვეტი? თუ ჩვენ მოვიგებთ, დიას მატჩი კი ძველი იქნება, შეაწითლებს ბრწყინვალე ფეხბურთელებისგან შექმნილი დიდი გუნდი ჰყავთ. მათ მთელი მატჩის ბედი ერთ წაშში შეუძლიათ შეცვალონ, თუმცა ნამდვილი ჩე-მპიონები ჩვენთანაც თამაშობენ“.

მართალია ნედევი, „მილანს“ საუცხოო ფეხბურთელები ჰყავს, რომელთაც 28 ტუ-რში ყველაზე მეტი, 63 გოლი გაიტანეს. განსაკუთრებით თავდამსხმელები ბრწყინა-ვენ, რომელთაც 49 გოლი ანუ ამ გოლების 78 პროცენტი შეაგდეს. საკუთრივ ოთხ ფო-რვარდს შორის კი გოლები ასეა განაწილე-ბული: 16 შეჟენკო, 15 ვილარდინო, 10 ინძა-ვი და 8 კაკა, თუმცა ეს უკანასკნელი ცენ-ტალური თავდამსხმელი არ გახლავთ.

იტალია

მამრები

იუვენტუსი მარათონელია, მილანი სპირინტი



პირველ წრეში „მილანი“ „იუვენს“ 3:1 მოუგო

სტატისტიკა, ბუნებრივია, „იუვენტუსის“ სიძლიერეზეც მეტყველებს. თუნდაც იმის გახსენება რად ღირს, რომ ტურინელებს ბო-ლო 33 ტურიდან გატანილი გოლის გარეშე ერთხელაც არ დაუტოვებიათ მოედანი. მა-თთვის, ვინც ეს არ იცოდა და გაუკვირდა,

| | |
|-----------|----------|
| XXIX ტური | |
| დღეს | |
| სიხა | კლუბები |
| 06:30 | სასალონი |
| სვალ | |
| პაპოლი | : 3:1 |
| პალანო | : 3:0 |
| პანინა | : 1:0 |
| პარმა | : 1:0 |
| იუვენტუსი | : 3:1 |
| ლაციო | : 1:0 |
| სამპდორია | : 1:0 |
| პალანო | : 1:0 |

დავაზუსტოთ: „ბებრმა ქალბატონმა“ ბო-ლოს 10 თვის წინ, „ინტერთან“ 0:1 წაგებულ შემხედრაში ვერ გაიტანა.

მიმდინარე სეზონში „იუვენს“ ერთადერთი თამაში აქვს წაგებული, რაც, ცხადია, მის ფინალურად ადასტურებს, მაგრამ ეს ერთად-ღერთი მარცხი სწორედ „მილანმა“ რომ აწვინა, ეს უკვე შეაწითლებს სიძლიერე-ზე მეტყველებს.

„მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჯელო-ტი: „იუვენტოს, „იუვენტუსთანაც“ ისე კი-თამაშობთ, როგორც ჩემპიონთა ლიგაში „ბა-იერთან“ ვითამაშეთ. ცხადია, „იუვენს“ სულ სხვა კალბრის გუნდია, მაგრამ მე ვაღიჯ-ბული ვარ, სწორედ ისეთ თამაშზე ვიფი-ქრო“.

მასპინძელთა სამწუხაროდ, ამ შეხვედრა-ში ვერ ითამაშებს მარცხენა მცველი ჯან-ლუკა ძამბროტა, რომელმაც ჩემპიონთა ლი-გაში აკრძალეს თამაშის დროს მარჯვენა ფეხზე კუნთი დაზიანდა და მოშუშობა-სთვის ორი კვირა უნდა. ამიტომ მის ადგი-ლას გასულ ზაფხულს „ტორინოდან“ ნაიკი-ლი ფედერიკო ბალდარეტი შეიძლება ვიხი-ლოთ.

„მილანში“ ბოლო პერიოდთან შედარებით რაიმე ცვლილება მოსალოდნელი არ არის. **პაპუნა კედი**

| № | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | გ | წ | ბ | ქ | მ | გ | წ | ბ | ქ | მ | გ | წ | ბ | ქ | | | |
|--------------|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|-----|----|----|----|----|----|----|----|----|---|----|----|----|----|----|----|----|----|----|----|
| 1 იუვენტუსი | | | 2:0 | | | 3:0 | 1:0 | | 2:0 | | 2:1 | 2:0 | 1:0 | 1:1 | 1:0 | 4:0 | 1:0 | 2:1 | 3:1 | 3:1 | 28 | 23 | 4 | 1 | 57 | 18 | 73 | 13 | 1 | 0 | 28 | 5 | 40 | 10 | 3 | 1 | 29 | 13 | 33 |
| 2 მილანი | 3:1 | | | | | | | 2:0 | 1:1 | 2:1 | 1:0 | 3:1 | 2:1 | 4:3 | 5:1 | 1:0 | 4:0 | 3:0 | 2:1 | 5:0 | 28 | 20 | 3 | 5 | 63 | 24 | 63 | 13 | 1 | 0 | 38 | 10 | 40 | 7 | 2 | 5 | 25 | 14 | 23 |
| 3 ინტერი | 1:2 | 3:2 | | 1:0 | 2:3 | 5:0 | 1:0 | | | 3:0 | 1:0 | | | 2:0 | 3:1 | 3:2 | | 4:1 | 3:0 | 3:0 | 28 | 18 | 5 | 5 | 52 | 22 | 59 | 12 | 0 | 2 | 35 | 11 | 36 | 6 | 5 | 3 | 17 | 11 | 23 |
| 4 ფიორენტინა | 1:2 | 3:1 | 2:1 | | | 3:2 | 2:1 | 1:2 | 2:1 | 1:0 | | 2:1 | | 4:1 | 4:2 | 2:1 | 2:0 | | 1:0 | 1:0 | 28 | 17 | 5 | 6 | 48 | 30 | 56 | 13 | 0 | 2 | 31 | 15 | 39 | 4 | 5 | 4 | 17 | 15 | 17 |
| 5 რომა | 1:4 | 1:0 | 1:1 | 1:1 | | 3:0 | 4:0 | 1:1 | | 1:2 | 2:1 | 2:3 | 3:1 | 4:1 | 0:1 | 4:3 | | 1:0 | | | 28 | 16 | 7 | 5 | 52 | 26 | 55 | 8 | 3 | 4 | 29 | 19 | 27 | 8 | 4 | 1 | 23 | 7 | 28 |
| 6 ლაციო | | 0:3 | 0:0 | 2:0 | 0:0 | | 0:0 | 2:1 | | | 2:0 | 2:2 | 1:0 | 2:0 | | 0:1 | 2:2 | 2:0 | 2:1 | 1:1 | 28 | 11 | 11 | 6 | 29 | 27 | 44 | 7 | 6 | 2 | 18 | 11 | 27 | 4 | 5 | 4 | 11 | 16 | 17 |
| 7 კიევი | 1:1 | 2:1 | 0:1 | | | | | 2:2 | 1:1 | 0:0 | 1:1 | | 4:0 | 1:0 | 2:0 | 2:1 | | 2:2 | 3:1 | 0:0 | 28 | 10 | 11 | 7 | 37 | 32 | 41 | 6 | 7 | 1 | 21 | 11 | 25 | 4 | 4 | 6 | 16 | 21 | 16 |
| 8 ლაციო | 1:1 | 0:0 | 0:0 | 1:0 | 0:2 | | 2:2 | | | 4:2 | 4:1 | 3:2 | | | 1:1 | 1:1 | 1:0 | | 3:1 | 28 | 9 | 12 | 7 | 35 | 35 | 39 | 6 | 6 | 1 | 21 | 13 | 24 | 3 | 6 | 6 | 14 | 22 | 15 | |
| 9 სამპდორია | 0:1 | 2:1 | 2:2 | 3:1 | 1:1 | 0:2 | 1:2 | 2:0 | | | 1:2 | 3:3 | 3:2 | | | | 4:2 | 2:0 | | 1:1 | 28 | 10 | 7 | 11 | 42 | 37 | 37 | 6 | 4 | 4 | 25 | 20 | 22 | 4 | 3 | 7 | 17 | 15 | |
| 10 პალანო | 1:2 | 0:2 | 3:2 | | | 0:2 | 2:2 | 3:1 | 0:2 | | | 1:3 | 1:0 | 4:2 | | 2:2 | | 2:2 | 3:0 | | 28 | 8 | 10 | 10 | 36 | 42 | 34 | 5 | 3 | 5 | 22 | 22 | 18 | 3 | 7 | 5 | 14 | 20 | 16 |
| 11 ასპოლი | 1:3 | 1:1 | | 0:2 | | 0:0 | | | 2:1 | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 3:1 | 1:1 | | 1:0 | 3:1 | 2:0 | 1:0 | 28 | 7 | 12 | 9 | 28 | 32 | 33 | 6 | 6 | 2 | 18 | 13 | 24 | 1 | 6 | 7 | 10 | 19 | 9 |
| 12 სიენა | | 0:3 | 0:0 | 0:2 | 0:2 | | 0:1 | | 1:0 | 1:2 | 1:1 | | 0:0 | 2:2 | 2:3 | 2:1 | 4:2 | 1:0 | | | 28 | 8 | 8 | 12 | 33 | 43 | 32 | 4 | 4 | 6 | 14 | 19 | 16 | 4 | 4 | 6 | 19 | 24 | 16 |
| 13 რავენა | | 1:4 | 0:4 | 1:1 | 0:3 | 1:1 | 1:3 | 1:0 | 2:1 | 2:2 | | | 2:1 | 2:0 | 3:1 | | | 2:0 | 1:2 | | 28 | 8 | 7 | 13 | 28 | 44 | 31 | 6 | 3 | 5 | 19 | 23 | 21 | 2 | 4 | 8 | 9 | 21 | 10 |
| 14 პარმა | 1:2 | | | 2:4 | 0:3 | | 2:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 0:0 | | | 1:2 | 1:0 | 1:1 | 1:0 | 2:0 | 1:1 | 28 | 7 | 8 | 13 | 31 | 47 | 29 | 4 | 6 | 4 | 15 | 17 | 18 | 3 | 2 | 9 | 16 | 30 | 11 | |
| 15 უდინეზა | 0:1 | | 0:1 | 0:0 | 1:4 | 0:2 | | 3:0 | 2:0 | 0:0 | 1:1 | 1:2 | 1:2 | | | 1:0 | 1:0 | 1:2 | 2:2 | 28 | 7 | 7 | 14 | 28 | 42 | 28 | 4 | 4 | 7 | 14 | 17 | 16 | 3 | 3 | 7 | 14 | 25 | 12 | |
| 16 კალიარი | | 0:2 | | | | 0:0 | 1:1 | 2:2 | 1:1 | 2:0 | | 1:1 | | 2:1 | | 1:1 | 4:1 | 0:0 | 0:0 | | 28 | 6 | 9 | 13 | 30 | 42 | 27 | 5 | 7 | 1 | 16 | 10 | 22 | 1 | 2 | 12 | 14 | 32 | 5 |
| 17 მესინა | 2:2 | | 1:2 | 2:2 | 0:2 | 0:0 | 2:0 | 1:1 | 1:4 | 0:0 | 1:1 | 0:0 | 1:1 | 0:1 | | 1:0 | | | | 28 | 4 | 12 | 12 | 25 | 39 | 24 | 2 | 8 | 4 | 12 | 16 | 14 | 2 | 4 | 8 | 13 | 23 | 10 | |
| 18 ემპოლი | 0:4 | 1:3 | | 1:1 | 1:0 | | | 2:3 | | 0:1 | | | 3:0 | 1:2 | 1:1 | 3:1 | 1:3 | | 1:0 | 1:1 | 28 | 6 | 5 | 17 | 28 | 50 | 23 | 4 | 3 | 6 | 16 | 20 | 15 | 2 | 2 | 11 | 12 | 30 | 8 |
| 19 ლენე | 0:3 | | 0:2 | 1:3 | 2:2 | 0:0 | | 0:0 | 0:3 | 2:0 | 0:0 | 3:0 | 0:0 | | | 3:0 | 0:2 | 1:2 | | 28 | 4 | 6 | 18 | 19 | 44 | 18 | 3 | 5 | 6 | 12 | 17 | 14 | 1 | 1 | 12 | 7 | 27 | 4 | |
| 20 ტრავიზო | | 0:2 | 0:1 | | 0:1 | 0:1 | 1:2 | 0:1 | 0:2 | 2:2 | | 0:1 | 0:1 | 0:1 | | | 0:0 | 1:2 | 2:1 | | 28 | 2 | 9 | 17 | 16 | 41 | 15 | 1 | 2 | 11 | 6 | 18 | 5 | 1 | 7 | 6 | 10 | 23 | 10 |

რეალის პრეზიდენტი იუვენტუსს ყიდულობს


პარმა ხანია საუბრობენ, მდ-რიდის „რეალს“ ფაბიო კაპელო უნ-დაო, მაგრამ ახლა ეს ინფორმაცია „სამიფო კლუბის“ პრეზიდენტმა ფერნანდო მარტინმა ოფიციალურად დადასტურა. თავად გამოცე-დილი ტექტიკოსი კომენტარისგან თავს იკავებს, მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მისი დაბრუნება მარ-თლაც არ არის გამორიცხული.

„მე მომწონს კაპელო მისი შესაძ-ლებლობები ყველამ იცის. ელემენტარ-ულად, ღონ ფაბიოს მიღწევებს თუ გადახედავთ, ყველაფერი ნათელი გა-ხდება. „რეალი“ მწვრთნელად ყველა-ზე ძლიერ სპეციალისტს ეძებს ამ საკითხზე მომავალ კვირამ დაეცმულ სხდომაზე ვიმსჯელებთ და შემდეგ გადაწყდება, თუ ვინ იქნება ჩვენი მთა-ვარი სამიზნე“ — თქვა მარტინმა.

შეგახსენებთ, რომ კაპელოს „იუ-ვენტუსთან“ კონტრაქტი 2007 წლის ზაფხულამდე აკავშირებს თუმცა მისი დარღვევა პრობლემა არ იქნება მომხიბვლელი წინადადების მიღე-ბის შემთხვევაში, რომლის ნაკლე-ბობაც კაპელოს, სავარაუდოდ, არ ექნება. თანაც ბოლო დროს ღონ ფაბიოს ტურინელთა ცნობილ მმარ-თველებთან — ვიცე-პრეზიდენტ რობერტო ბეტეგასთან, ერთ-ერთ თავმჯდომარე ანტონიო ვირაულო-სთან და გენერალურ მენეჯერ ლუ-ჩანო მოჯისთან ურთიერთობა ძა-ლიან დაუთბა. ეს ტრიო კი დიდი შანსია, სეზონის ბოლოს დაიშა-ლოს და ვინძლო კაპელომაც გა-დაწყვიტოს „დელე ალპის“ დატო-ვება. თუმცა ბევრი რამ იმაზეც არის დამოკიდებული, როგორ გამოვა

„იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგაში. ადრე გავრცელდა ინფორმაცია, ფა-ბიო კაპელომ მადრიდელებს შეუთ-ვალა, მე თუ ჩამოვალ, პირველ რი-გში რონალდო, რობერტო კარლოსი, ივან ელკერა და მიჩელ სალგადო გუნდიდან უნდა გაუშვათ. „რეალის“ მთავარი სამიზნეები კი, სავარაუდოდ, ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ემერსონი, ბრაზილიელი ფორვარდი ადრიანო და „ლივერპულის“ კაპიტანი სტივენ ჯე-რარდი გახდებიან.

აქვე დაეძინა, რომ „რეალის“ მწ-ვრთნელობის კანდიდატებად ასევე განიხილებიან — „ლივერპულის“ თავკაცი რაფაელ ბენიტესი, „მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჯელო-ტი და სვენ გორან-ერიკსონი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ დატოვებს ინგლისის ნაკრებს.



დროშა არა...

ინგლისელების ყაყანაში ყიყინი ისმის: უეფა-სამს ამ ბაყაყიჭამია ფრანგებმა



რომელია აქ ინგლისელი?


„ვესტ ჰემის“ მწვრთნელმა ალან პერდიუმ არსენალელ ფრანგ კოლექტს არსენ ვენგერს ინგლისური ფეხბურთის გადაკვარებაში დასლო ბრალი. პერდიუმ აღშფოთებით განაცხადა, რომ ვენგერს მოედანზე ერთი ინგლისელი მოთამაშეც კი არ გაჰყავს.

„ძალიან მნიშვნელოვანია, პრემიერლიგის საუკეთესო კლუბებს არ დაეიწყეთ, რომ ეს ინგლისის ჩემპიონატი და მასში ინგლისელი ფეხბურთელები უნდა თამაშობდნენ. ამასწინათ ერთ-ერთ გაზეთში დიდი სათაური ეწაჭა, „არსენალი“ ბრიტანული ფეხბურთის მოფრია-

ლე დროშაო და მყისვე გამიჩნდა ამ გუნდის თამაშში თუნდაც სულ მცირე ბრიტანული ელემენტის დანახვის სურვილი“.

პერდიუმ მხარი ინგლისის ფეხბურთელთა ასოციაციის შეფმა ვორდონ ტეილორმაც დაუჭირა: „ყველა ინგლისურ კლუბს, სულ მცირე, ორი ან სამი ინგლისელი ფეხბურთელი უნდა ჰყავდეს. უცხოელი მოთამაშეები ფანტასტიკურები არიან, ჩვენ მათგან და აგრეთვე უცხოელ მწვრთნელთაგან ძალიან ბევრი ვისწავლეთ, მაგრამ რომელიღაც მომენტში ჩვენ ინგლისური ფეხბურთის სული დაკარგეთ. დღევანდელი „არსენალი“ ინგლისური კლუბია, მაგრამ მისი წარმატება ინგლისური ფეხბურთის წარმატება არ არის. სავარაუდოდ, ეს უფრო ფრანგული სკოლის წარმატება გახლავთ. ვფიქრობ, თუ ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ ივარგებს, ხსენებული პრობლემა მეტად და მეტად აქტუალური გახდება“.

აკაუნა კედი



კარლოს ალბერტო პარეირა

ალბათი გახსოვთ, ცოტა ხნის წინ ჰოლანდის ნაკრების მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა მსოფლიოს ჩემპიონატისთვის 23-კაციანი სიის გამოცხადების თარიღის გადაწევა ითხოვა. ახლა მას მუნდიალზე მონაწილე ნაკრებების თავკაცთა უმეტესობა აჰყვამ და გამორიცხული არ არის, განაცხადის წარდგენის ვადაც 15 მაისიდან ივნისის დასაწყისამდე გადაიწიოს.

„კარგი იქნება განაცხადის წარდგენის უფლებას ივნისის დასაწყისისთვის თუ მოგვცემენ. ამ საკითხზე მუშაობა საჭირო და არანაირ პრობლემას არ შექმნის, ჩვენ კი ძალიან შეგვიწყობს ხელს. ყვე-

პარეირამ ფიფას კალენდარი დაუსნია

ლა მწვრთნელისთვის ასე აჯობებს“ — განაცხადა ბრაზილიის ნაკრების თავკაცმა კარლოს ალბერტო პარეირამ.

ფიფას ამ საკითხზე მოუწვევს მსჯელობა, რადგანაც ბევრი მწვრთნელი ჩივის. მათ სურთ ფეხბურთელებს ბოლო მომენტამდე დააკვირდნენ და შერჩევაში არ შეცდნენ. ფიფას ვიდე-პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა პირობა დადო, რომ 16 მარტს ციურისში დაგეგმილ სხდომაზე ამ თემაზე იმსჯელებენ და საბოლოო გადაწყვეტილებასაც მიიღებენ.

„ჩვენ უკვე ვიცით მწვრთნელების პოზიცია და ამ საკითხზე უახლოეს დღეებში ბევრს ვიმუშავებთ. საბოლოო განხილვა კი 16 მარტის სხდომაზე მოხდება და გადაწყვეტილებასაც იქ მივიღებთ“ — თქვა იუჰანსონმა.

კოკი კანდელაკი

| XXVII ტური | |
|-------------|-----------|
| დღეს | |
| ვალენსია : | რეალი |
| დეპორტივო : | სოსიედადი |
| მსაენიოლი : | სელტა |
| სვალ | |
| ბეტისი : | ვალაგა |
| სარაგოსა : | ხეტაფე |
| ბილბაო : | კადისი |
| ალავესი : | სევილია |
| ვალენსია : | ვალენსია |
| ატლეტიკო : | რასინგო |
| ოსასუნა : | ბარსელონა |

ესპანელი ლიგა დაითავრდა, გეგინოდეს დაგეგმვის

„არსენალთან“ საჩემპიონთა ლიგის წაგების შემდეგ შინაურ პრემიერლიგის მადრიდის „რეალს“ კიდევ

ერთი მძიმე გამოცდა ელის — დღეს „მესტალიაზე“ ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერს, „ვალენსიას“ ეთამაშება. „რეალის“ ხვედრი მწარეა, მადრიდელი კოპა დელ რეიზე და ჩემპიონთა ლიგაში უკვე ჩაფლავდნენ და სარეაბილიტაციოდ პრემიერას მოგებას შეეცდებიან. ეს კი ძალიან ძნელი საქმეა, „ბარსელონა“ ხომ დასუსტებულ მეტოქეს მთელი 10 ქულით სჯობნის. „ვალენსიასთან“ „რეალს“ რობერტო კარლოსი და დევიდ ბექემი დააკლდებიან — პირველი დაჯარიმებულია, ინგლისელი კი „არსენალთან“ „ჰაიბერიზე“ დაშავდა. „ვალენსიამ“ წინა შეხვედრა „მალაგასთან“ ფრედ დაამთავრა და თუ მეორე ადგილისთვის უშუალო კონკურენტ „რეალთანაც“ წაიბორძიკა, სიტუაციას გაირთულებს. მასპინძლებს ტრავმირებულები — დევიდ ალბელდა, ვისენტე, კლუივერტი, ედუ და ვიანა ვერ დაეხმარებიან. „რეალს“ ახლა კრიზისი აქვს, ოღონდ მაინც ძლიერია და რთული მატჩი გველის“ — თქვა კიკე ფლორესმა, „ვალენსიას“ მწვრთნელმა.



გასულ შემოდგომაზე „ვალენსიამ“ „სანტიაგო ბერნაბეუდან“ სამი ქულა წაიღო

დღეს პრემიერაში კიდევ ორი მატჩიც გაიმართება. გასაჯაროდ „მილანობს“ სახიფათოდ მიახლოებული „ესპანოლი“ ტრავმირებული სერხიოს გარეშე დარჩენილ „სელტას“ მასპინძლობს, ხოლო სეგუნდასთან ჩახუტების კიდევ ერთი კანდიდატი „სოსიედადი“ „დეპორტივოს“ ეთამაშება. „რასინგო“ „დეპორტივოს“ დაჯარიმებულ დუშერს და ტრავმირებულ ვალერონს, ანდრადეს და ტაბორდას მოისაკლისებს.

პრემიერას ლიდერ „ბარსელონას“ „ელ სარდარზე“ იქაურ „ოსასუნასთან“ უწევს შეხვედრა. „ბარსა“ ლიგაზე „ჩელსისთან“ მოგების მერე, ცხადია, მშვენიერ ხასიათზეა და კატალონიელთა ერთადერთი საწუხაროც ლეო მესის ტრავმაა. არგენტინელი ბუროს და მოედანს ერთი თვით დაეშვებოდა.

უნუგემო მჩანჩალა „ბილბაო“ გასაჯაროდინი ზონიდან ახლანა თვედახსნილ „კადისს“ მასპინძლობს. ბილბაოელები ჯარიმადკიდებული ეჩებერიას გარეშე ითამაშებენ.

მადრიდის „ატლეტიკომ“ წინა ტურში „რეალთან“ დერბი წააგო და ზედხელ ექვსმეტრიანი გამარჯვებების სერია შეწყვიტა. კვირას „ათლეტები“ „რასინგს“ დაუხვედრიან და ტორესი და კომპანიაც საევროტურნირო ადგილებზე მოხვედრის უნით შეეცდებიან სანტანდერელთა განადგურებას.

„ატლეტიკოში“ სავარაუდოდ, მაქსი როდრიგესი და არიელ იბაგასა ვერ ითამაშებენ.

ლადო ხომერიკი

| № | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | მ | გ | წ | ბ | ქ | გ | წ | ბ | ქ | გ | წ | ბ | ქ | | | | | | |
